

თავი 39 თავისუფლების მიწა

ქარი სახეში სცემდა ჯონათანს. საათი საათს მისდევდა, სვავის მონოტონურმა ფრენამ მას ძილი მოჰკვარა. ესიზმრა, თითქოს ვიწრო ქუჩაში მირბოდა, უკან კი კანონდამცავთა აჩრდილები და აშეშებული ძაღლები მოსდევდნენ.

– გაჩერდი, ნაძირალა... გაჩერდი, ახალო ახალმოსულო! – ყვიროდნენ ისინი. მისი მთელი არსება შიშმა შეიპყრო და უფრო სწრაფად გაიქცა. მდევრებს ერთი ადამიანი გამოეყო – ლედი ტვიდი. ჯონათანს მისი მძიმე სუნთქვა ჩაესმოდა და გრძობდა, რომ ქალს მის შესაპყრობად სქელი თითები წინ გამოეშვირა.

ჯონათანი უხეშმა შექანებამ გამოადვიდა.

– რა მოხდა? – ჩაიღულღულა მან და ფრინველის ბუმბული უფრო მაგრად ჩაბლუჯა.

ისინი სანაპიროზე იყვნენ, რომელიც ჯონათანს ძალიან ეცნობოდა.

– ამ სანაპიროს გაჰყევი, – თქვა სვავმა, – დაახლოებით ერთი მილი ჩრდილოეთისკენ გაიარე და იმას იპოვი, რასაც ეძებდი.

ოქროსფერი ქვიშის დიუნებზე გამხმარი ბალახი ამოწვევრილიყო, ოკეანე კი, რომელიც სანაპიროს პერიოდულად მოაწყდებოდა ხოლმე, რუხი და ცივი ჩანდა. ჯონათანი ფრთხილად ჩამოცურდა ფრინველის ზურგიდან.

უცებ იგი მიხვდა, სადაც იყო.

– სახლში ვარ, – შეჰკვივლა მან.

ჯონათანი ქვიშიან პლაჟზე გაიქცა, მერე შეჩერდა და სვავთან დაბრუნდა.

– კი მაგრამ, მითხარი, ისეთ ადგილას წავიყვან, სადაც ყველაფერი კანონიერად კეთდებაო.

– მართლაც ასე ვთქვი, – უპასუხა ფრინველმა.

– მაგრამ აქ ყველაფერი ასე როდია.

– შეიძლება ჯერ არ არის, მაგრამ იქნება, როდესაც მაგ საქმეს მიხედავ. ასეა თუ ისე, კორუმპოც შეიძლება სამოთხედ იქცეს თუ ადამიანები ჭეშმარიტ თავისუფლებას ეზიარებიან.

– კორუმპო? – გაიკვირვა ჯონათანმა, – კუნძულის მცხოვრებთა დიდ ნაწილს სჯერა, რომ თავისუფალია, რადგან ლედი ტვიდმა უთხრა ასე. დანარჩენებს კი თავისუფლების ეშინიათ, ამიტომ საკუთარ ბედს დიდი მოაზროვნის მსგავს ადამიანებს ანდობენ.

– ეს მხოლოდ სიტყვებია, – თქვა სვავმა, – თავისუფლება მხოლოდ ქმედების შედეგად მოდის.

ჯონათანმა თავი საოცრად ახალგაზრდად იგძნო. ბალახის ღეროს ჰკიდა ხელი და ქვიშაში ჩიჩქნა დაიწყო.

– როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები? ბევრი პრობლემა ვნახე, მაგრამ მათი გადაწყვეტის გზები არ ვიცი.

სვავი ბუმბულს ისწორებდა და კარგა ხანს პასუხი არ გაუცია, მერე ზღვას გახედა და თქვა:

– დაახლოებით მაინც გაქვს წარმოდგენილი, როგორი მომავალი გინდა გქონდეს?

– ვფიქრობ, ასეა!

– პრობლემაც სწორედ ეგაა. ხელმძღვანელები მომავალს თავისებურად ხედავენ და დანარჩენებს ამ ხილვისკენ ლტოლვას აიძულებენ. დაიმახსოვრე, არავის აქვს უფლება, ისეთი რამ გააკეთოს შენს მაგივრად, რასაც შენ თვითონაც ვერ გააკეთებდი. თუ თავად არ იმოქმედებ, არც სხვას უნდა სთხოვო შენს ნაცვლად მოქმედება.

– კი მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ საით მივდივარ?

– შენთვის იცოდე და საკუთარი აზრი თავს არავის მოახვიო, – ფრინველმა სახეში ჩახედა ჯონათანს, თან დეზებს ქვიშას ურტყამდა, – თავისუფალ ქვეყანაში ადამიანები კეთილი ნებისა და განვითარებისკენ მიილტვიან. ათასობით არსებამ, რომელიც საკუთარი მიზნის ასრულებისკენ მიილტვის, შესაძლოა, გაცილებით უკეთესი საზოგადოება შექმნას, ვიდრე შენ შეუქმნი. თავიდან იფიქრე იმაზე, როგორ უნდა მიადწიო მიზნებს, თავისუფალი სულის მქონე ადამიანები აუცილებლად გამოგყვებიან. თავისუფალნი მოულოდნელ გამოსავალს პოულობენ, მათ კი, ვინც თავისუფლებას ვერასდროს ეზიარება, მოულოდნელი პრობლემები უჩნდებათ.

– არავინ მომისმენს, – სკეპტიკურად თქვა ჯონათანმა.

– არ აქვს მნიშვნელობა მოგისმენენ თუ არა. ლაპარაკითა და ქმედებით ძალას იკრებ. ისინი, ვინც ყურს დაგივლებენ, შენს მამაცობას მიბაძავენ, – უპასუხა სვავმა, ზღვისკენ შებრუნდა და გასაფრენად მოემზადა.

– მეგობრებს კვლავაც ვნახავ? – სიტყვა დაადევნა ჯონათანმა.

– შენს სამოთხეს რომ შექმნი, აღისას აუცილებლად მოვიყვან მის სანახავად.

ჯონათანი აკვირდებოდა ფრინველს, რომელმაც უზარმაზარი სხეული გამართა, ქარს გაჰყვა და წამის შემდეგ ღრუბლებში გაუჩინარდა.

ჯონათანმა ჩრდილოეთისკენ, სანაპიროს გასწვრივ განაგრძო გზა. ამ მოგზაურობის შესახებ ბევრი არაფერი ახსოვდა. ერთადერთი, რაც მესხიერებაში დარჩენოდა, ქვიშის ხმა და ქარის შრიალი იყო. მან ქვიანი გასასვლელი დაინახა, რომლითაც მშობლიურ ქალაქში შესვლას შეძლებდა... ცოტა ხანში ოჯახურ მაღაზიასთან იდგა – ნუთუ ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ სახლში დაბრუნდა?

ჯონათანის მამა, მაღალი, გამხდარი კაცი, – ვერანდაზე იჯდა და ბაგირს წნავდა. ბილიკზე მომავალი შვილის დანახვაზე მას თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

– ჯონ, – შესძახა მან, – ჯონ, ჩემო ბიჭო, სად იყავი ამდენ ხანს?

მერე კი ცოლს გასძახა, რომელიც სახლის საქმით იყო დაკავებული:

– რიტა, ნახე, ვინ დაგვიბრუნდა!

– რა ხმაურია, რა მოხდა? – გამოსძახა ქალმა. აშკარად ჩანდა, ჯონათანის არყოფნაში მოტეხილიყო. იგი აივანზე გამოენთო და სიხარულით შეჰყვირა. შვილი კარგა ხნით ჩაიკრა გულში, მერე მკლავის სიგრძეზე უკან გასწია და სახელოთი ცრემლები შეიმშრალა.

– სად ბრძანდებოდით ამდენ ხანს, ყმაწვილო? გშია, ჯონ? – მერე მეუღლეს გასძახა, – ცეცხლი დაანთე, ჰუბერტ და ჩაიდანის დადგი.

შეხვედრის ბედნიერებით დიდხანს ტკბებოდნენ. დედის გამომცხვარი თბილი პურის ჩაკბეჩის შემდეგ ჯონათანმა სიამოვნებით ამოიხვნეშა და სკამის ზურგზე გადაწვა. მშობლებს კორუმპოზე მოგზაურობის შესახებ დეტალურად მოუყვა. ცოლქმარი ყურადღებით უსმენდა ვაჟიშვილს და ხან შეიცხადებდა, ხან გაცისკროვნებული თვალებით შესცქეროდა მას. მაღაზიასა და მათ საცხოვრებელს ბუხრის ცეცხლი ანათებდა.

– გაზრდილი მეჩვენები, შვილო, – თქვა მამამ, ჯონათანს კარგად დააკვირდა და ხუმრობით დასძინა, – მალე გახვალ ზღვაში?

– არა მამა, აქ ვრჩები. აქაც ბევრი სამუშაოა.